25/08/2025

MES 0 25 0001016532

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 15:30 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

8. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
10. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
11. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
12. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
13. **მაქსიმ იავიჩი -** შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
14. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ლალი ოდიშვილი** -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
- **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:
ზურაბ ბერია - პროგრამის ხელმძღვანელი;
მაია ხეჩიკაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
მიხეილ ტეფნაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნათია ნიაური - პროგრამის ხელმძღვანელი;
ბაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი;
ქეთევან ბაკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
ვახტანგ წივწივაძე - უნივერსიტეტის კანცლერი;
კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;
ნინო ჭალაგანიძე - კანცლერის მრჩეველი;

მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი ბერია - საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ელენე ჯანბერიძე - საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი:
ქეთევან ჯინჭარაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ანასტასია ბაჯიაშვილი - ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი;
ნინო ლოლაშვილი - ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის ვიცე-დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
ირმა ღარიბაშვილი - "შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები
I საკითხი:
ა) ჯულიეტ თორაბიანი - (Juliette Torabian) თავმჯდომარე;
ბ) ელზა მაკარაძე (წევრი);
გ) ნინო ქიმერიძე (წევრი);
დ) ტატო ლაფაური (წევრი).

II საკითხი
ა) ივანა კარევი-(Ivana Carev) თავმჯდომარე;
ბ) ია ნაცვლიშვილი (წევრი);
გ) გიორგი გაბოშვილი (წევრი).

III საკითხი
ა) საულიუს ვასარევჩუსი Saulius Vasarevicius-თავმჯდომარე;
ბ) ვახტანგ ბალავაძე(წევრი);
გ) თამთა ცხოვრებაძე (წევრი);
დ) ნინო ჯოლია (წევრი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. სხდომის მდივნად განისაზღვრა ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება), მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა, ბიოლოგია, ინგლისური ენა); მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);

ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა), სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის", "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთა ნდაკავშირებით

- კი

ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის", "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადატანას შემდეგი სხდომისთვის. ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა რომ შუამდგომლობის საფუძველი იყო ექსპერტების თხოვნა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება), მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა, ბიოლოგია, ინგლისური ენა); მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა), სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება), მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა,

ბიოლოგია, ინგლისური ენა); მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა), სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.1.

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია, გეოგრაფია; სამოქალაქო განათლება);

საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში)

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: - 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით

სწავლებისენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 300 ECTS;

სასწავლო მოდული: საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და სამოქალაქო განათლებაში.

1.2.

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა);

საფეხური: -

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით;

სწავლების ენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 60;

სასწავლო მოდულები:

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ისტორიის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- მათემატიკის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ქიმიის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ფიზიკის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ბიოლოგიის მასწავლებელი (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ინგლისური ენის მასწავლებელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)

1.3.

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა);

საფეხური: -

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -

სწავლებისენა: ქართული;

კრედიტების რაოდენობა: 60;
სასწავლო მოდულები:

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური);
- სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური);
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- მუსიკა.

1.4.
პროგრამის დასახელება: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ექსპერტები და თარჯიმანი. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.
სხდომის თარგმნა უზრუნველყო ანი ლელაძემ.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 მაისს. ვიზიტმა ჩაიარა საინტერესო და კონსტრუქციულ გარემოში. მან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები მათთვის მისაღებია და მათი შესრულება იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ არ ჩათვალა საჭიროდ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენა, რადგან იზიარებენ ექსპერტთა დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ უნდა

გადაიხედოს და დაკორექტირდეს 300-კრედიტიან პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. დასკვნაში (გვ. 41–42) აღნიშნულია, რომ პროგრამაზე გამოცხადებულია 200 ადგილი, მისთვის ბუნდოვანია აღნიშნული ჩანაწერი, რადგან დაწესებულებას მიღება 200 ადგილზე არ ჰქონია გამოცხადებული. მაგალითად, მიმდინარე წელს გამოცხადებულია მხოლოდ 20 ადგილი. ასევე, მან დამატებით განმარტა, რომ დასკვნაში ნახსენები „200 ადგილი" უკავშირდება 60-კრედიტიან პროგრამებზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობას.

საერთაშორისო ექსპერტმა, ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) განმარტა, რომ ეს უზუსტობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს თარგმანთან, რაც შესაძლებელია, რომ მარტივად გასწორდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პერიოდულად უნდა გადაიხედოს და დაიხვეწოს სწავლის შედეგები. დაწესებულებას აინტერესებს, რა პერიოდულობას გულისხმობენ ექსპერტები სწავლის შედეგების გადასახედად.

საერთაშორისო ექსპერტმა ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) აღნიშნა, რომ ეს არის ზოგადი რეკომენდაცია. მისი თქმით, მსოფლიოში მუდმივად ვითარდება ახალი მიმართულებები განათლებაში, მათ შორის: მდგრადი განვითარების განათლება, გლობალური მოქალაქეობა, ციფრული უნარები, სწავლება-სწავლაში, კიბერუსაფრთხოება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. რეკომენდაცია მიემართება იმას, რომ მომავალ მასწავლებლებს ჰქონდეთ სათანადო უნარები და კომპეტენციები გლობალურ განვითარებაში ინტეგრაციისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებისათვის. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების რეგულარულ გადახედვას, რაც შეიძლება ხდებოდეს ყოველწლიურად, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოხდეს თანამედროვე ასპექტების ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ქეთევან აფთარაშვილმა დაწესებულებას დაუსვა კითხვა, რომელიც ეხებოდა ინტეგრირებული პროგრამების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. მისი თქმით, თვითშეფასებაში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა შეადგენს ხუთს. ამასთან, აღნიშნა, რომ პროგრამის მეორე გვერდზე მითითებულია: „პროგრამაზე ჩარიცხულ მაქსიმალურ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 200 კვოტას". აქედან გამომდინარე, მას აინტერესებდა, რა თანაფარდობაა გათვალისწინებული და როგორ იგეგმება სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელების მენეჯმენტი. მეორე კითხვა ეხებოდა ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას. კერძოდ, რუკაში ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშრომი დაკავშირებულია მე-10 და მე-11 სწავლის შედეგებთან, როგორც განმამტკიცებელთან, მაგრამ მაგალითად მე-9 სწავლის შედეგი — რომელიც ეხება კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარების ჩამოყალიბებას, ასევე დარგობრივ ენაზე კომუნიკაციას — რუკაში არ არის ასახული სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებით. მისთვის საინტერესო იყო დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მესამე შეკითხვა ეხებოდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც მე-8 სწავლის შედეგი წარმოდგენილია კურიკულუმში დანართის სახით, თუმცა სწავლის შედეგების რუკაში მე-8 შედეგის განმტკიცება არ ხდება რომელიმე სასწავლო კურსით. მან აღნიშნულთან დაკავშირებითაც სთხოვა დაწესებულებას განმარტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა მოქმედებს დაახლოებით ოთხი წელია და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ჯერ არ მისულან სამაგისტრო ნაშრომების წარდგენის ეტაპამდე. მისი თქმით, სტუდენტების მიღებისთვის განსაზღვრული 200 ადგილი არ შეესაბამება რეალობას და არ იცის, საიდან გაჩნდა ასეთი ჩანაწერი, რადგან სტუდენტთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა დააზუსტა, რომ მისი მიზანი იყო გაეგო, რომ თუკი მომავალში იგეგმება 200 სტუდენტის მიღება, როგორ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალი. კერძოდ, რა თანაფარდობა იქნება გათვალისწინებული და ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეეძლება.
პროგრამის თანახელმძღვანელმა განმარტა, რომ ამჟამად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან დაკავშირებული პრობლემა არ დგას, რადგან პროგრამის სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპამდე არ არიან მისულები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა კვლავ მოითხოვა დაკონკრეტება, აქვს თუ არა დაწესებულებას განსაზღვრული თანაფარდობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და სტუდენტების რაოდენობას შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, დაწესებულების პრაქტიკა ასეთია - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელზე საშუალოდ სამი სტუდენტი მოდის. რაც შეეხება კრიტიკული აზროვნების შედეგის არ ასახვას სწავლის შედეგების რუკაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს შენიშვნა სრულიად სამართლიანია და დიდი ალბათობით, ტექნიკური ხარვეზია. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენება და კრიტიკული აზროვნების განვითარება მნიშვნელოვანი კომპონენტებია, ამიტომ ეს შენიშვნა აღიქმება როგორც რეკომენდაცია, რომელსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ პროგრამის გადახედვისას. დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნა, რომ მე-8 სწავლის შედეგი ეხება უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, და ამ მიმართულებით დაწესებულება გეგმავს პროფესიული მასწავლებლების ჩართვას ჰაბში. ასევე, უკვე გაფორმებულია მემორანდუმი ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებებზე სპეციალურ პროგრამებთან. მან აღნიშნა, რომ იგეგმება თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, იმისათვის რომ სტუდენტებმა პრაქტიკულად ისწავლონ სხვადასხვა დამხმარე საშუალებების - გამოყენება. დაწესებულება არ წყვეტს სტუდენტებთან კომუნიკაციას და მომავალშიც სურს მჭიდრო თანამშრომლობა მათთან, პროფესიული განვითარებისა და ახალი შესაძლებლობების გაზიარების მიზნით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა უშუალოდ ეხებოდა სწავლის შედეგების რუკას - კერძოდ, რომელი შედეგები გადის „გაცნობა“, „გაღრმავება“ და „განმტკიცება“ ეტაპებზე. მისი თქმით, მე-8 სწავლის შედეგი რუკაში საერთოდ არ არის მონიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი და აუცილებლად გამოსწორდება.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა პროგრამის ხელმძღვანელებს დაუსვა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა, კერძოდ 300 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საგნის სწავლების მეთოდიკას ეთმობა მხოლოდ 6 კრედიტი და რამდენად საკმარისია ეს მოცულობა იმისთვის, რომ სტუდენტმა სრულად აითვისოს მასწავლებლისთვის აუცილებელი უნარები. ასევე, 300 კრედიტიან საგანმანათლებლო

პროგრამაში, სასკოლო პრაქტიკის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თითოეულ საგანში სტუდენტი ცალცალკე გადის სასკოლო პრაქტიკას, რომელიც მხოლოდ 7 კვირა გრძელდება: 1-5 კვირის განმავლობაში ხდება - ასისტირება და გაკვეთილის დაგეგმვა; მე-6 კვირაში - ერთი საცდელი გაკვეთილის ჩატარება; მე-7 კვირაში - პორტფოლიოს მომზადება. მისი თქმით, ფაქტობრივად გამოდის, რომ სტუდენტი სკოლაში მხოლოდ 6 კვირას ატარებს. მას აინტერესებს აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების განმარტების მოსმენა. ასევე მისი თქმით 300 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომისთვის გათვალისწინებულია 18 კრედიტი. ის დაინტერესდა საკმარისია თუ არა ეს მოცულობა, და როგორ მოხდება მომავალში სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა - იქნება ეს პრაქტიკაზე დაფუძნებული, თეორიული თუ სხვა ტიპის. ასევე, საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა აღნიშნა, რომ 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობებში, წერია, რომ პროგრამაზე მიიღება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული პირი. მან კითხვა დასვა, ეს ჩანაწერი ხომ არ იკითხება ისე, თითქოს მათემატიკის მასწავლებლის პროგრამაზე მხოლოდ მათემატიკის ბაკალავრის მიღებაა შესაძლებელი და მაგალითად ეკონომიკის ან ბიზნესის ბაკალავრი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მათემატიკა, არ აქვს უფლება ჩაირიცხოს პროგრამაზე. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ 60 კრედიტიან პროგრამაში ფსიქოლოგია ცალკე საგნად არ არის გამოყოფილი და მან ჩათვალა, რომ ეს კომპონენტი მხოლოდ „სწავლებისა და განვითარების თეორიების“ კურსით იფარება. ის დაინტერესდა რამდენად სრულადაა გათვალისწინებული პროგრამაში მასწავლებლებისთვის საჭირო ფსიქოლოგიური უნარები. საბჭოს წევრმა 60 კრედიტიან პროგრამასთან მიმართებით,
მეთოდიკის და პრაქტიკის ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში საგნის სწავლების მეთოდიკა (20 კრედიტი) ჩაშენებულია პრაქტიკაში, ხოლო სილაბუსში გაწერილია მხოლოდ ერთი საცდელი გაკვეთილი. ის დაინტერესდა ხდება თუ არა ამ შეფასებაში სკოლის მიმაგრებული მასწავლებლის ჩართვა, თუ მხოლოდ მეთოდიკის ლექტორი აფასებს როგორც მეთოდიკის, ისე პრაქტიკის ნაწილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეთოდიკის სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თითოეულ მოდულს ეთმობა 6 კრედიტი, ხოლო პრაქტიკული კვლევა არის ჩაშენებული, რაც ხელს უწყობს როგორც მეთოდოლოგიურ გამართულობას, ისე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. რაც შეეხება 60 კრედიტიან პროგრამაში ფსიქოლოგიის ნაწილს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფსიქოლოგიის კომპონენტები სრულად იფარება „სწავლებისა და განვითარების თეორიების“ კურსში და ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. ფსიქოლოგიის საკითხები, ასევე, გარკვეულწილად დაფარულია ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „სწავლება და შეფასება“ და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენელმა სასკოლო პრაქტიკის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 7 კვირა ეხება მხოლოდ ერთ საგნობრივ მეთოდიკას, ხოლო საერთო რაოდენობა იზრდება საგნების რაოდენობის შესაბამისად (სამი საგანი სამი პრაქტიკა). ადრე პრაქტიკა და მეთოდიკა ცალკე იყო, მაგრამ წლების განმავლობაში აღმოაჩინეს, რომ გაერთიანებული მოდელი უკეთეს შედეგს იძლევა. მისი თქმით, პრაქტიკის შეფასება მრავალსაფეხურიანია: სტუდენტი ატარებს 3 გაკვეთილს (სავალდებულო მინიმუმი სილაბუსით ერთი გაკვეთილია), მანამდე 4 გაკვეთილს ასისტირებს სკოლის მენტორ პედაგოგთან. შეფასებას აკეთებს როგორც ადგილობრივი მენტორი მასწავლებელი, ისე მეთოდიკის ლექტორი, რომელიც საბოლოოდ აფასებს სტუდენტის პრეზენტაციას.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა ითხოვა დაწესებულებას დაეზუსტებინა, სტუდენტი თითოეულ საგანში ერთ გაკვეთილს ატარებს თუ სამს.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 60 კრედიტიან პროგრამაში თითო საგანში სტუდენტი ატარებს 3 გაკვეთილს, ხოლო პრაქტიკა გრძელდება 21 კვირის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა დაწესებულებას სთხოვა 60 კრედიტიანი პროგრამის მიღების წინაპირობების დაზუსტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც უნივერსიტეტი ამზადებდა სააკრედიტაციო პაკეტს, აღნიშნული ჩანაწერი არსებობდა, თუმცა ამ მომენტისთვის გაგზავნილია წინადადება, რომ ეს ჩანაწერი გადავადდეს და აღარ იყოს შემზღუდავი 60 კრედიტიან პროგრამაზე მიღების ნაწილში. მისივე თქმით, ამ წელს, კანონმდებლობის უცვლელობის პირობებში, სტუდენტს უნდა ჰქონდეს აკადემიური ხარისხი იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ჩააბარებს 60 კრედიტიან პროგრამაზე. ამ მიმართულებით როდესაც შეიცვლება კანონმდებლობა, დაწესებულებაც, შესაბამისად, დაარედაქტირებს ჩანაწერს.

სხდომის მდივანმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ მან ექსპერტთა დასკვნის ნარატივში ვერ ნახა დასაბუთება, რომელიც იქნებოდა მესამე კლასტერული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, რომელიც ეხება კომიტეტების შექმნას საუკეთესო პრაქტიკებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის გაცვლის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო ექსპერტმა, ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) განმარტა, რომ ვიზიტის დროს საუბარი იყო კოლეგიალურ შეფასებაზე, რომელიც გულისხმობს, რომ ლექტორები უნდა ესწრებოდნენ ერთმანეთის ლექციებს, აკვირდებოდნენ სასწავლო პროცესს. მისი მოსაზრებით, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია შეიქმნას კომიტეტები, რომლებიც გააერთიანებენ აკადემიურ პერსონალს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამ კომიტეტებში იქნება განხილული სწავლების სტრატეგიები, გამოყენებული ტექნიკები, ეფექტიანობა და სხვა მეთოდები, რაც უნივერსიტეტს აარიდებს ლექტორების პირდაპირ ლექციაზე შესვლით კოლეგიალურ შეფასებას.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა დასვა დამაზუსტებული შეკითხვა, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზნებში უნდა აისახოს თანამედროვე ციფრული წიგნიერება და ონლაინ სწავლების ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება. მისი თქმით დასკვნის ნარატივში აღნიშნული საკითხი არ არის დეტალურად განმარტებული, და მისთვის ზოგადად გაუგებარია, რა მნიშვნელობა აქვს ონლაინ სწავლების ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას მიზნებში, მითუმეტეს, რომ პროგრამაზე ონლაინ სწავლება არ არის გათვალისწინებული. ის დაინტერესდა, ხომ არ არის ეს ტექნიკური ხარვეზი და ხომ არ უნდა იყოს ამონარიდი უფრო ინტეგრირებული ან ინტერაქტიული, როგორც ეს მესამე პროგრამასთან მიმართებითაა მოცემული.

საერთაშორისო ექსპერტმა ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობს, რომ სწავლების პროცესში სხვადასხვა საგანში უნდა გამოიყენებოდეს ონლაინ პლატფორმები, მაგალითად ქიმიაში, ფიზიკაში, მათემატიკაში. როცა ლექტორი ახსნის თემას, შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შეიქმნას შესაბამისი ვიდეო მასალა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ციფრული უნარების განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, მისი თქმით, რჩევა, რომელიც გაიცა სწავლებისა და სწავლის მეთოდების ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოს შექმნასთან დაკავშირებით, ხომ არ გულისხმობს იმას, რომ სილაბუსებში მოცემული სწავლის მეთოდები არ არის საკმარისი და ეფექტიანი.

ექსპერტმა ჯულიეტ თორაბიანმა (Juliette Torabian) განმარტა, რომ რჩევა გულისხმობს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც მოიცავს სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებს. ასეთი სახელმძღვანელო შეიძლება გამოიყენებოდეს აკადემიური პერსონალის მიერ თავიანთი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, სახელმძღვანელო კი პერიოდულად უნდა განახლდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით. მისი თქმით, ეს არ ნიშნავ იმას რომ უნივერსიტეტს აქვს დეფიციტი ამ მიმართულებით, არამედ ეს რჩევაა სამომავლო პერსპექტივისთვის და არ არის შესასრულებლად სავალდებულო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:05
დასრულების დრო: 12:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

- ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

- ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა; ისტორია; მათემატიკა; ქიმია; ფიზიკა; ბიოლოგია; ინგლისური ენა) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

- ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) საგანმანათლებლო პროგრამას

მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

- ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 11 აგვისტომდე) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილებები აძალაში შესულიყო 2025 წლის 11 აგვისტოდან. საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს სხდომა დატოვა თამარ ზარანდიამ

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
პროგრამის დასახელება: საექთნო საქმე;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საექთნო საქმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0913 საექთნო და სამეანო საქმე;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS;
სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა. აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ექსპერტები და თარჯიმანი. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ცარევმა (Ivana Carev) საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაციასთან და რჩევასთან დაკავშირებით აქვს საპირისპირო პოზიცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს დასკვნაში უწერიათ, რომ პროგრამა კარგად არის აგებული, ფლობს დიდ პოტენციალს და მისი ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა პირდაპირი რეაგირება ბაზრის მეტი ექთნის საჭიროებაზე. პროგრამა მჭიდრო კავშირშია ცნობილ საავადმყოფოებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მაღალკვალიფიციურ მომზადებას. გარდა ამისა, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რომ სწავლობენ ჯანდაცვის სექტორში აქტიურად ჩართულ პირებთან, ხოლო მატერიალური ბაზა საკმარისია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად. პროგრამა შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში. მისი თქმით, თვით ექსპერტთა დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველი და კარგად სტრუქტურირებულია, ამზადებს კურსდამთავრებულებს ექთნის პროფესიაში სხვადასხვა ფუნქციების შესასრულებლად, ხოლო სწავლის შედეგები ცალსახად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და საექთნო საქმის სპეციფიკას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს გაცემული აქვთ რეკომენდაცია, რომელიც მიემართება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირებას და ხელახლა ფორმულირებას მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით, მისი თქმით, დაწესებულებას სხდომაზევე შეუძლია საბჭოს გაუზიაროს ნებისმიერი სასწავლო კურსი და პროგრამა და თავისი თვალით ნახონ არსებობს თუ არა ისეთი სასწავლო კურსი, რომლის შედეგიც არ არის ჩამოყალიბებული მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით. მისი თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ ვერ უნდა გაზომო იცის თუ არა სტუდენტმა კონკრეტული საკითხი, ფლობს თუ არა კონკრეტულ ცოდნასა და უნარს ან შეუძლია თუ არა კონკრეტული ქმედების შესრულება. მითუმეტეს, რომ ყველა სილაბუსში გაწერილია შეფასების მეთოდები, ხერხები და კრიტერიუმები, რაც არ იმუშავებს, თუ პროგრამის სწავლის შედეგები არ იქნება შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულება რეკომენდაციას არ ეთანხმება. ქართული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ როდესაც გამოქვეყნდა საექთნო საქმის დარგობრივი მახასიათებელი, მასში არ იყო ჩანაწერი ქართული ენის სწავლების შესახებ. მისი თქმით, დაწესებულება 2013 წლიდან ახორციელებს მედიცინისა და სტომატოლოგიის ინგლისურენოვან პროგრამებს, თუმცა ამავე წლიდან ყველა უცხოელი სტუდენტი ქართული ენის კურსს გადის, იმისათვის, რომ მათ შეძლებოდათ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია. მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში ქართული ენის სწავლება თავდაპირველად 15 კრედიტს მოიცავდა, ხოლო მოგვიანებით 12 კრედიტამდე შემცირდა. ამ გამოცდილების საფუძველზე დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქართული ენის სწავლება ჩაემატებინა როგორც საუნივერსიტეტო

სავალდებულო კურსი და შეეტანა იმ 220 კრედიტის შემადგენლობაში, რომელზეც ექსპერტები წერენ, რომ უნდა მოიცავდეს საუნივერსიტეტო, კლინიკურ და პრაქტიკულ კურსებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით დასკვნაში, ასევე, არის ჩანაწერი, რომ პროგრამა გამოირჩევა პრაქტიკული კურსების მრავალფეროვნებით – პროგრამაში 85 კრედიტი უკავია პრაქტიკულ კურსებს. წარმოდგენილია აბსოლუტურად ყველა სფერო: ჯანდაცვა, თერაპია, ქირურგია, ანესთეზიოლოგია და სხვ. ყოველი თეორიული კურსის პარალელურად გათვალისწინებულია შესაბამისი პრაქტიკული კურსი, რაც პროგრამას განსაკუთრებულად გამოარჩევს სხვა პროგრამებისგან. მან აღინიშნა, რომ ბოლო სემესტრში ჩაშენებულია 24 კრედიტის მოცულობის პრაქტიკული კურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტი არა მხოლოდ აფილირებულ კლინიკებში პრაქტიკული სწავლების გასავლელად მიდის, არამედ მთელი სემესტრის განმავლობაში იმყოფება კლინიკაში და, უშუალოდ, ურთიერთობს პაციენტებთან. მთ მიერ აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს კომუნიკაცია ქართველ პაციენტებთან, ხოლო ქართველი პაციენტი ვალდებული არ არის იცოდეს ის უცხო ენა, რომელზეც პროგრამა მიმდინარეობს (ამ შემთხვევაში – ინგლისური). მან აღინიშნა, რომ არცერთი დარგობრივი დოკუმენტი არ დგას იმაზე მაღლა, ვიდრე საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ბაზრის კვლევა და დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ პროგრამა პასუხობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს დასაქმების შესაძლებლობა საქართველოში, მით უმეტეს, არსებული ექთნების დეფიციტის პირობებში. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. შესაბამისად, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული ქართული ენის სწავლება პაციენტებთან და სამედიცინო პერსონალთან ეფექტური კომუნიკაციისთვის – სულ მცირე 12 კრედიტის მოცულობით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ როგორც კი ვიზიტის დროს აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, დაწესებულება დაუკავშირდა ცენტრს, რომელმაც საექთნო საქმის დარგობრივი ჯგუფი შეკრიბა. მესამე მცდელობაზე შედგა კვორუმი და 24 ივლისს გაიმართა დარგობრივი საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება – 240-კრედიტიან პროგრამაში შევიდეს ქართული ენის სწავლებისთვის გათვალისწინებული მინიმუმ 12 კრედიტი. მიუხედავად ამისა, დასკვნის ძირითად ნაწილში რეკომენდაცია მაინც ჩარჩა, თუმცა აღინიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული ცვლილება შეასრულა უფრო ადრე, ვიდრე რეკომენდაცია ოფიციალურად დაფიქსირდებოდა. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია წინააღმდეგობაში მოდის იმ ჩანაწერთან, სადაც ექსპერტები წერენ, რომ სტუდენტებს დიდი უპირატესობა აქვთ, რადგან ისინი კლინიკაში არსებულ პერსონალთან გადიან პრაქტიკულ სწავლებას. მისი თქმით, დაწესებულება პროგრამაზე მუშაობდა დაახლოებით ორი წლის განმავლობაში და იგი სწორედ იმის გამო მომზადდა, რომ ქვეყანაში არსებობდა ექთნების დეფიციტი. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, პროგრამის მიზანია, რომ სასწავლო პროცესში აუცილებლად ჩაერთონ კვალიფიციური, პროფესიული გამოცდილების მქონე მოქმედი ექთნები, რომლებიც მუშაობენ აფილირებულ კლინიკებში. მისი თქმით, აღნიშნული პერსონალის მოწვევით გაიზრდებოდა მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დაირღვეოდა ბალანსი, რადგან დღევანდელი მდგომარეობით აკადემიურ თანამდებობაზე ჩართულია 31 პირი, ხოლო მოწვეული იქნებოდა 23, რაც არასასურველ ბალანსს შექმნიდა. დღეის მდგომარეობით კი მოწვეულია 11 პირი. გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებელში განმახორციელებლებად თავდაპირველად მითითებული იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც შეეძლო პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავება (ასისტენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო

დოქტორანტი). პროფესიული ნიშნით კვალიფიციური ადამიანების – პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექთნების – ჩართვის უფლების შესახებ ჩანაწერი არ არსებობდა. მისივე განმარტებით, სწორედ მათი მოთხოვნით გაიმართა საბჭოს სხდომა და დაემატა ჩანაწერი, რომ პროგრამის განხორციელებაში უფლება აქვთ ჩართონ პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალები, ექთნები, რომლებსაც დადასტურებული ექნებათ ექთნად მუშაობის გამოცდილება. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მათთვის გულდასაწყვეტია, როდესაც დასკვნაში წერია, რომ პროგრამის განხორციელებაში არ მონაწილეობენ ექთნები, რადგან ფაქტობრივად ჩატარდა 12 ექთნის აკადემიურ თანამდებობაზე მიღების კონკურსი, რომლებიც პროფესიული ნიშნით ასისტენტებად დასაქმდნენ. 12 კანდიდატიდან ცხრამ უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულება გააფორმა. თითოეულ მათგანს მინიმუმ 3, 5 ან 6 წლის ექთნად მუშაობის გამოცდილება აქვს. ამიტომ დაწესებულება ვერ დაეთანხმება რეკომენდაციას, თითქოს სასწავლო პროცესში კვალიფიციური ექთნების დეფიციტია. პირიქით – ეს არის საექთნო საქმის პროგრამის ერთერთი ძლიერი მხარე, რომ მასში ჩართულნი არიან პროფესიონალი ექთნები. ის, ასევე, შეეხო მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებულ ჩანაწერს, სადაც ექსპერტთა დასკვნაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა პრაქტიკული და კლინიკური სწავლების ობიექტების განვითარებაში. ეს მოიცავს სხვადასხვა სპეციალიზებულ ლაბორატორიებსა და სიმულაციურ ცენტრებს: მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის, ქიმიისა და ბიოქიმიის, ასევე ანატომიის ლაბორატორიებს, რომლებიც აღჭურვილია რეალური ანატომიური მოდელებითა და მოწინავე ციფრული ინსტრუმენტებით, მათ შორის 3D ვირტუალური სისტემითა და ანატომიური გაკვეთის მაგიდით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, კლინიკური უნარების ცენტრი, რომელიც საექთნო პროგრამის ქვაკუთხედია, მოიცავს 24 სადგურს და აღჭურვილია სამედიცინო მანეკენებითა და სიმულატორებით. მისი თქმით, უნივერსიტეტის კანცლერმა, 2024 წელს 3 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა იმისათვის, რომ საექთნო საქმის პროგრამა სრულად ყოფილიყო აღჭურვილი ყველა საჭირო მოწყობილობით. მან აღნიშნა, რომ თამამად შეუძლია თქვას, საქართველოში არ მოიძებნება უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს ასეთი გამართული ინფრასტრუქტურა მედიცინის, სტომატოლოგიის და საექთნო საქმის პროგრამების განსახორციელებლად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, ასევე კლინიკური უნარების ცენტრი, სადაც სტუდენტები ყველა ეტაპზე გადიან სწავლებას და აღჭურვილია ყველა საჭირო მოწყობილობით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით, მათთვის არარელევანტურია დასკვნის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება აპირებს 150 სტუდენტის მიღებას, მაგრამ თუ რაოდენობა გაიზრდება, ფაკულტეტს გაუჭირდება პროგრამის განხორციელება. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, აღნიშნა, რომ საექთნო საქმის პროგრამის პარალელურად უნივერსიტეტში მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების ქართული და ინგლისურენოვანი 180-კრედიტიანი პროგრამების აკრედიტაცია. მისი თქმით, აკრედიტაციის სტანდარტის 5.1 კომპონენტი, რომელიც ხარისხის შიდა მექანიზმებს ეხება, ითხოვს გარკვეული დოკუმენტების არსებობას, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამისთვის არის ერთი და იგივე, და შესაძლებელია ავტომატურად მოხდა გადმოტანა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამიდან. მან საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით გაეხსნათ მე-8 დანართი, სადაც მოცემულია უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორისაა, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის დებულება. შესაბამისად, ეს არ შეიძლება იყოს რეკომენდაცია, რადგან არის ტექნიკური ხარვეზი და კოლეგიალურობის გამო ისურვებდა ექსპერტებს აღენიშნათ ეს. მისი თქმით მსგავსი ტექნიკური უზუსტობებია დასკვნაში მაგალითად, 5.1 და 5.3 ქვესტანდარტის მტკიცებულებებში, ხარისხის უზრუნველყოფის წესდებასთან დაკავშირებით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ჯგუფში

აკადემიური პერსონალის ჩართვა, აღნიშნა, რომ პერსონალი ჩართულია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში. ასევე, მან დადებითაც შეაფასა, დასკვნის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ პროგრამა კარგად არის აგებული და დიდ პოტენციალს ფლობს. მისი ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რომ პასუხობს ბაზარზე ექთნების საჭიროებას. პროგრამა შემუშავდა ცნობილ საავადმყოფოებთან მჭიდრო კავშირში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მაღალკვალიფიციურ მომზადებას რეალურ გარემოში. მნიშვნელოვანი უპირატესობაა სტუდენტებისთვის, რომ ისინი სწავლობენ ჯანდაცვის სფეროში აქტიურად ჩართული პირებისგან. არსებული მატერიალური ბაზა საკმარისია მაღალი კვალიფიციური განათლების მისაღებად. პროგრამა შეფასებულია ევროკავშირის საექთნო განათლების დირექტივასთან მიმართებით და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამა წარმატებით მოამზადებს კვალიფიციური ექთნების მომავალ თაობას.

„საექთნო საქმის“ პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შექმნისას ენის სწავლებასთან დაკავშირებით დარგობრივ დოკუმენტში ჩანაწერი არ არსებობდა, თუმცა ენის სწავლება იყო ძალიან მნიშვნელოვანი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაცია ენობრივი კომპეტენციის გარეშე წარმოუდგენელია. ამის გათვალისწინებით, მისთვის ენის კომპეტენციის საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაუგებარია და არასაჭიროდ მიაჩნია, რადგან აღნიშნული კომპონენტი მათი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი მხარეა. მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოსპიტალურ ცენტრზე, სადაც კლინიკურ პრაქტიკაში იკვეთება პრობლემა — ახალგაზრდა კურსდამთავრებულები ზოგჯერ ორი წლის განმავლობაში ვერ ხვდებიან რომელ სპეციალობას აირჩევენ, რადგან ცვლიან მიმართულებებს (პედიატრია, თერაპია და სხვა), რასაც დამატებით რესურსის ხარჯვა სჭირდება. ამ კუთხით, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების პროგრამა ეფუძნება კანადურ და ბრიტანულ მოდელს, რომლის მიხედვითაც, ბოლო კურსზე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს სპეციალიზაციის კურსი და შემდეგ ექვსი თვე გადიოდეს შესაბამის კლინიკაში პრაქტიკას.

ექსპერტთა შეკითხვაზე, რა მოხდება თუ 150 სტუდენტი ერთ სპეციალობაზე გააკეთებს არჩევანს, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მსგავსი შემთხვევა პრაქტიკულად ძალიან იშვიათია (დაახლოებით 2%), გარდა ამისა, დაწესებულებას ამისთვის საკმარისი რესურსი აქვს. აღსანიშნავია, რომ ევექსის კლინიკები და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტრატეგიულ პარტნიორებად თანამშრომლობენ. პროგრამის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე კლინიკური ნაწილია, რომელიც მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა მაღალი ხარისხის პრაქტიკულ მომზადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ სთხოვა ექსპერტებს, დამატებით გაეკეთებინათ კომენტარი იმ რეკომენდაციის გაცემასთან დაკავშრებით, რომლის მიხედვითაც, რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ცარევმა (Ivana Carev) განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია ჩამოყალიბდა ჯგუფურად და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებას. მისთვის გასაგებია დაწესებულების პოზიცია, თუმცა აღნიშნა, რომ ზოგიერთი პერსონალი ნამდვილად არ იყო ჩართული განხილვებში, მაგალითად — ენის კურსის საკითხზე. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტებს ესმით, რატომ არის ენის კურსი

გათვალისწინებული პროგრამაში, თუმცა შესაძლოა ეს საკითხი მომავალში ხელახლა განიხილონ. მან ხაზი გაუსვა, რომ, რადგან პროგრამა ახალია, ექსპერტების მიზანია მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ძლიერი მხარეების გამოვლენა და, ასევე, იმ ასპექტებზე მითითება, რომლებიც სამომავლოდ შეიძლება გაუმჯობესდეს.
რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, ექსპერტის თქმით, დასკვნაშიც მითითებულია, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი მატერიალური ბაზა, თუმცა ტექნოლოგიები ვითარდება და საჭიროა პერიოდული გადახედვა რესურსების განახლების მიზნით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ეტაპზე მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას რაიმე აკლია, არამედ რეკომენდაცია მიზნად ისახავს განვითარებას. ექთნების დეფიციტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ პერსონალის ნაწილს უკვე აქვს პრაქტიკული გამოცდილება, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროგრამა ახალია და შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს სრულად შევსებული პრაქტიკოსებით. აღნიშნული მითითება გათვალისწინებულია მხოლოდ სამომავლო გაუმჯობესების მიზნით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე პროგრამა არ არის აკრედიტებული. დღეს 31 აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი ჰყავს დაწესებულებას, მათ შორის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და 12 ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც პრაქტიკული გამოცდილების მქონენი არიან. გარდა ამისა, დამატებით მოწვეულია 11 პრაქტიკოსი, რომელთა შესაბამისი პრაქტიკული კურსები დადგენილია. მან ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ ნაწილს, და თეორიული კომპონენტის უგულებელყოფა დაუშვებელია. მისი თქმით, აღნიშნული ვერ იქნება რეკომენდაციის საგანი, რადგან ნათელია, რომ, მზარდი სტუდენტური კონტინგენტის შემთხვევაში უნივერსიტეტი აუცილებლად იზრუნებს პერსონალის რაოდენობის გაზრდაზეც.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ექთნების დეფიციტი გამოწვეულია იმით, რომ წარსულში ამ მიმართულებით მხოლოდ კოლეჯები არსებობდა და უმაღლესი განათლების მქონე კადრები არ მზადდებოდა. მისი თქმით, სწორედ უნივერსიტეტებმა და მსგავსმა ინიციატივებმა უნდა შექმნან უმაღლესი განათლების მქონე ექთნები, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა ასწავლონ მომავალ თაობას. უნივერსიტეტი ცდილობდა მოეძებნა ისეთი კადრები, რომელთაც ექნებათ საექთნო საქმიანობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ იმ ექიმებს, რომელთაც ჰქონდათ საექთნო საქმიანობის გამოცდილება, უნივერსიტეტმა ყველას მოსთხოვა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რადგან საქართველოში ინგლისური ენის მცოდნე ექთნების დეფიციტია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია წინასწარ, რომ ვერ მიიღეს რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რადგან დასაბუთებული არგუმენტების წინასწარ მიღების შემთხვევაში ექსპერტებს შეიძლებოდა გაეთვალისწინებინათ ეს საბოლოო დასკვნაში. მან, ასევე, განმარტა, მათ დასკვნაში აღწერეს ის მდგომარეობა, რაც იყო ვიზიტის დროს, ხოლო შემდგომი ცვლილებები, რომლებიც გარკვეულწილად ცვლის რეკომენდაციის აქტუალობას, ვიზიტის შემდგომი მოვლენაა და დასკვნა ეფუძნება მხოლოდ ვიზიტის პერიოდში არსებულ ვითარებას. ექსპერტმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა თვითშეფასების პროცესში შესაბამისი ანგარიშების მომზადებისას აღმოფხვრას ტექნიკური და ფაქტობრივი უზუსტობები, შეიძლება, რომ რჩევებში გადავიდეს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავს 150 პერსონალის მიღებას. მისი თქმით, კონკურენცია მაღალია და ისინი ელოდებიან პროგრამის აკრედიტაციას, რის გამოც დაწესებულება ამ ეტაპზე პროცესს სრულად ვერ მართავს.

სხდომის მდივანმა, ციური დურულმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, რეკომენდირებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების პერიფრაზირება და ხელახლა ფორმულირება მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენებით, აღნიშნა, რომ ის გაეცნო სწავლის შედეგების მექანიზმსა და შეფასების გეგმას და მიიჩნევს, რომ ისინი არის საკმაოდ მარტივი და გამჭვირვალე, განსაკუთრებით მედიცინის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც სწავლის შედეგების აღწერა რთულია. მან ექსპერტებს მიმართა კითხვით, რატომ ჩათვალეს რომ არსებობდა გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ცარევმა (Ivana Carev) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების გამოყენება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით. განსახილველ პროგრამას სჭირდება ამ მიმართულებით გაუმჯობესება აქტიური ზმნების გამოყენებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია არ გულისხმობს იმას, რომ თითქოს სწავლის შედეგების გაზომვა შეუძლებელია ან არ არის გამჭვირვალე. რეკომენდაციაში საუბარია იმაზე, რომ გასაუმჯობესებელია ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა „აქვს ცოდნა“, „იცის“ და სხვა; უმჯობესია, რომ შედეგები დაიწყოს პირდაპირ აღმწერი ზმნით. ამიტომ რეკომენდაციაში გამოყენებულია სიტყვა „პერიფრაზირება“ და არა „გადამუშავება“.
სხდომის მდივანმა, ციური დურულმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, რეკომენდებულია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ჯგუფში აკადემიური პერსონალის ჩართვა, აღნიშნა, რომ დასკვნის ნარატივში რამდენიმე ადგილას წერია, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცესებში. ის, ასევე, გაეცნო ბრძანებას თვითშეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი და სხვა ხელმძღვანელი პირები.

ექსპერტმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო, თუმცა რეკომენდაცია ეხებოდა ფორმალურ მხარეს — თვითშეფასების ჯგუფის ჩამოყალიბებისას ზოგიერთი აკადემიური პერსონალი დოკუმენტში არ იყო მითითებული.
სხდომის მდივანმა, ციური დურულმა, რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, რომ პროგრამამ გადადგას პროაქტიული ნაბიჯები სასწავლო პერსონალში ექთნების ამჟამინდელი დეფიციტის მოსაგვარებლად, აღნიშნა, რომ ქართულ შრომის ბაზარზე აკადემიური განათლების მქონე ექთნების აშკარა დეფიციტია.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა რატომ გასცეს ექსპერტებმა შემდეგი რჩევა - სასურველია, რომ პროგრამამ ინვესტიცია ჩადოს არსებული ობიექტებისა და აღჭურვილობის განახლებაში, რათა სტუდენტებისთვის ოპტიმალური სასწავლო პირობები შექმნას. ეს მოიცავს სიმულაციური ლაბორატორიების მოდერნიზაციას, თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის მიწოდებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, როგორიცაა ელექტრონული სწავლების 8 პლატფორმები და ვირტუალური სწავლების გარემო, სრულად იყოს აღჭურვილი როგორც პირისპირ, ასევე დისტანციური სწავლების მხარდასაჭერად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ცარევმა (Ivana Carev), აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალური რესურსი, თუმცა გაიცა რჩევა სამომავლო განვითარების თვალსაზრისით, რადგან ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა მომავალშიც გააუმჯობესოს მატერიალური რესურსები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მისთვის ნამდვილად გაუგებარია, როგორ შეიძლება ექსპერტებმა ასეთი შენიშვნა გასცენ, მაშინ როდესაც დასკვნის 41-ე გვერდზე თავადვე მიუთითებენ, რომ უნივერსიტეტმა დიდი ინვესტიცია განახორციელა აღნიშნული რესურსების შესაქმნელად. მისი თქმით, იშვიათად მოიძებნება კერძო უნივერსიტეტი, რომელსაც ასეთი სამედიცინო ბაზა ექნება. მისი თქმით, რეკომენდაციის გაცემა, რომ უნივერსიტეტმა ტექნოლოგიურ განვითარებას უნდა აუბას მხარი, მათი მოსაზრებით არ არის მართებული. მისი თქმით, უნივერსიტეტი აქამდე წარმატებით ვითარდებოდა და მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გასაუმჯობესებლად.

დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა ცარევმა (Ivana Carev), აღნიშნა, რომ მართალია, რეკომენდაცია დაწესებულებისთვის შესაძლოა მტკივნეულად ჟღერდეს, თუმცა ვიზიტის დროს მათ ნახეს ახალი შენობა და აუდიტორიები, რის საფუძველზეც მიაჩნიათ რომ ამ რეკომენდაციის შესრულება უნივერსიტეტისთვის რთული არ იქნება. რეკომენდაციების გაცემით, ექსპერტების მიზანი იყო, რომ უნივერსიტეტისთვის მკაფიო მიმართულება მიეცათ სამომავლო განვითარებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:14:00
დასრულების დრო: 14:20

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 11 აგვისტოდან. საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს აღნიშნულ შუამდგომლობას.

მესამე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
პროგრამის დასახელება: შენობა - ნაგებობათა რეკონსტრუქცია;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0732 - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
სწავლებისენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი;
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ექსპერტები და თარჯიმანი. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, საულიუს ვარსავიციუსმა (Saulius Vasarevicius) საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შეფასებისათვის და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტების გათვალისწინებისთვის. მან აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტი თავდაპირველად სხვაგვარად იყო წარმოდგენილი, თუმცა ვიზიტის პროცესში დამატებით წარდგენილმა მასალამ გამოიწვია რეკომენდაციების ცვლილება და დარჩა მხოლოდ ორი რეკომენდაცია. პირველი უკავშირდება პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გამრავალფეროვნებას. რომელთან დაკავშირებითაც მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს კარგი ურთიერთობა დამსაქმებლებთან და ისინი მზად არიან ითანამშრომლონ პროგრამასთან აკრედიტაციის შემთხვევაში. რაც შეეხება მატერიალურ ბაზას, მათ შორის ლაბორატორიას, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე და ამ მიმართულებით უკვე აქვს შემუშავებული გეგმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, სავარაუდოდ, არსებობდა ხარვეზი თარგმნის პროცესში, მისი თქმით, უნივერსიტეტსა და მშენებელთა ასოციაციას შორის დიდი ხანია მოქმედებს ხელშეკრულება, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა და პრაქტიკულად ყველა სამშენებლო კომპანია გაწევრიანებულია აღნიშნულ ასოციაციაში, რომლის წარმომადგენლებიც ითანამშრომლებენ უნივერსიტეტთან. ბაზრის მოთხოვნების ცვლილებები პირდაპირ აისახება სასწავლო გეგმებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მრავალი მემორანდუმი აქვს გაფორმებული, ხოლო პრაქტიკის ხელშეკრულებები პროცესშია და მალე ხელშეკრულებებიც გაფორმდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლაბორატორიებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს მშენებელთა ინფრასტრუქტურის ასოციაციასთან, რომელშიც დაახლოებით 50 კომპანიაა გაწევრიანებული, მათ შორის არიან როგორც მსხვილი, ასევე საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობა გრძელდება ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში და მათი მხრიდან მიიღება სრული მხარდაჭერა ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის. მისი თქმით, აღნიშნული ასოციაცია მყარად დგას ბაზარზე და არ არსებობს რისკი უახლოეს მომავალში მისი ფუნქციონირების შეწყვეტისა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მსგავსად, მანაც აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ პრაქტიკული გამოცდილება და ურთიერთობა, ასევე, ისეთ კომპანიებთან, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ასოციაციაში გაწევრიანებუები. მისი თქმით, დაწესებულება მზად არის გაითვალისწინოს ექსპერტთა რეკომენდაციები. მან, ასევე, გააკეთა კომენტარი საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს განხორციელებული პროექტი, რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაგზავნას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ასევე, თვითონაც გეგმავს სექტემბერში პესკარას უნივერსიტეტში ჩასვლას აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს აქვს ფართო კომუნიკაცია საერთაშორისო მიმართულებით და თანამშრომლობს არა მხოლოდ ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში, არამედ არსებობს სხვა მრავალი პროექტიც. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს უნივერსიტეტის აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით. ასევე, მისი თქმით, ყველაზე დიდი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების ინფორმაციული გაცვლის კუთხით. შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე უკვე აქტიურად რეალიზდება უნივერსიტეტში და ის თანამშრომლობს საზღვარგარეთ მდებარე უნივერსიტეტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის მდივანმა, ციური დურულმა გააკეთა კომენტარი, რომ დასკვნის ქართულ ვერსიაში არის ტექნიკური ხარვეზი, რომლის მიხედვითაც მე - 4 სტანდარტი ნაცვლად, შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მონიშნულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:20
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2025 წლის 11 აგვისტოდან. საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს აღნიშნულ შუამდგომლობას.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, **საბ ჭოს სხდომა დასრულდა 15:30 საათზე.**

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური